საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16247-02
31/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელს

ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ტუხაშვილი

საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო, რუსთავი, 3700, კოსტავას 20; ელ.ფოსტა: info@rustavi.ge
Georgia, Rustavi, 3700, Kostava ave. 20. email: info@rustavi.ge

საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**გიორგი ტუხაშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2018 – 01.11.2019
თანამდებობა:	1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ წევრი
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია
დროებითი სამუშაო ჯგუფი:	1. ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

- **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე)
საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 20 სხდომა

ბიუროს სხდომის რაოდენობა: 26 სხდომა
ბიუროს სხდომებზე დასწრება: 20 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

74 დადგენილება

162 განკარგულება

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

- **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:**

ჩატარდა - 19 სხდომა

დასწრება - 15 სხდომა

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“:

ჩატარდა - 4 სხდომა (მათ შორის ერთობლივი ფრაქცია
„მრეწველებთან“ ერთად)
დასწრება - 4

- **დროებითი სამუშაო ჯგუფი:**

ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 4 სხდომა

დასწრება - 4 სხდომა

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018– 2019წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

❖ **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

1) „მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებით აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის “ წევრი

2) „ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის“ წევრი

3) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ წევრი

საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩემი ინიციატივით განხორციელდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახელო
ქუჩების სახელდება, კერძოდ:

1) გაგრძელდა დავით აღმაშენებლის გამზირი და მასთან არსებულ ხუთ უსახელო გასასვლელს მიენიჭა დავით აღმაშენებლის გამზირის I, II, III, IV და V გასასვლელის სახელი;
2) გაგრძელდა თორნიკე ერისთავის ქუჩა;
3) ალუბლების ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭა ალუბლების ქუჩის გასასვლელის სახელი;

4) გოგი დოლიძის ქუჩასთან არსებულ უსახელო გასასვლელს მიენიჭა გოგი დოლიძის I გასასვლელის სახელი;
5) ქალაქ რუსთავში, VII^ა მიკრო რაიონში არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭა მურმან ლებანიძის სახელი, ხოლო მასთან არებულ ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭა მურმან ლებანიძის ქუჩის I და II გასასვლელის სახელი;
6) მერაბ კოსტავას გამზირის დასაწყისიდან, 9 აპრილის გმირთა მემორიალამდე დამაკავშირებელ უსახელო გზას (ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთს), მიენიჭა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხეივნის სახელი.